პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

15 თებერვალი, ოთხშაბათი, 1989 წ. № 32 (9951) ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## მედლების კოლექციონერი

სსრ კავშირის პირველობა

### ნინო სალუქვაძის ოთხი ოქროს მედალი

**ნინო** სალუქვაძე აგრძელებს მედლების კოლექციის შეგროვებას. ლვოვში გამართულ საკავშირო პირველობაზე (დახურულ სასროლეთში) მან ერთბაშად ოთხი ოქროს მედალი დაისაკუთრა. იგი უძლიერესი იყო მპ-5 (586+99) და მპ-10 (574) ვარჯიშში, აგრეთვე გუნდურ შეჯიბრებებში არმიის პირველ ნაკრებთან ერთად. მხოლოდ პპ-2 ვარჯიშში იყო გამონაკლისი, სადაც იგი პრიზიორთა მიღმა დარჩა, თუმცა გუნდურ პირველობაში ვერცხლის მედალი მაინც მოიპოვა.

წარმატებით გამოვიდა ქუთაისელი ილია ჩაგანავა, იგი ჩემპიონი გახდა „დინამოს" პირველი გუნდის შემადგენლობაში „გაქცეულ ტახზე" პნევმატური შაშხანის სროლაში (პშ-12), ტყვიის სროლაში (მშ-12) მე-2 ადგილი დაიკავა, პირად პირველობაში კი — მეექვსე (587 ქულა). ეს შედეგი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივს აჭარბებს.



სსრ კავშირი — კანადა

## მარსამდე მანძილი 298146 კილომეტრით შემცირდა

**მთელი** კვირაა რუსთაველებისთვის ჩვეულებრივ მოვლენად იქცა მორბენლებით გადატვირთული ქუჩები, ხალხმრავალი სპორტული მოედნები და სკვერები, სადაც თითოეული მონაწილე ცდილობდა თავისი წვლილი შეეტანა იმ აქციაში, რომელიც საბჭოთა კავშირ-კანადის ერთობლივი მონაწილეობით მიმდინარეობდა.

დაუსწრებელ სპორტულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში 192 048 კაცმა მიიღო მონაწილეობა. მათ მარსამდე 298146 პირობითი კილომეტრი გაიარეს.

ღონისძიებების შედეგების ურთიერთგაცნობა მოხდება აპრილში, როცა საბჭოთა კავშირ-კანადის წარმომადგენლები მოსკოვში შეხვდებიან ერთმანეთს. მანამდე კი მისი ბოლო დღის პერიპეტიებზე მოგახსენებთ. შაბათს, დღის 12 საათზე ახალგაზრდობის პარკთან სტარტი აიღო მძლეოსნურმა კროსმა, რომელშიც ათასზე მეტი სხვადასხვა ასაკის რუსთაველი მონაწილეობდა, ეს გზა ვისაც როგორ შეეძლო ისე გაიარა „მეტალურგის" სტადიონამდე, სადაც დასკვნითი შეჯიბრებები უნდა გამართულიყო. ქალაქის მთავარ სარბიელზე, საწარმოო გაერთიანება „აზოტის" ფიზკულტურის მეთოდისტის იური გოგოლაძის ინიციატივით გაიმართა ასპარეზობა ქართულ ჭიდაობაში. ჯერ პატარები გამოვიდნენ არენაზე. შემდეგ უფროსებმაც მოსინჯეს ძალები.

56-ე საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის ფეხბურთელმა გოგონებმა კი სტადიონზე გამარ-

იხ. მე-4 გვ.

## მოსაზრება

**გაზეთ** „ლელოში" გამოქვეყნდა ალექსანდრე შენგელიას წერილი, სადაც დასმულია საკითხი ქუთაისის რეგბისტთა გუნდის „მშენებლის" სახელის შეცვლის შესახებ.

ჩვენი აზრით, კარგი იქნებოდა ქუთაისის რეგბისტთა გუნდს დაერქვას „ოქროს ვერძი". ეს სახელწოდება შესაფერისად მიგვაჩნია შემდეგ მოსაზრებათა გამო:

1. ისტორიულად „ოქროს საწმისის" ლეგენდა უკავშირდება კოლხეთსა და მის დედაქალაქ აიას, „ოქროს საწმისი" (ვერძის ტყავი) კოლხეთის სამეფოს ძლიერების სიმბოლო იყო.

2. ცნობილია ვერძთა შერკინება და მორკინალი ვერძები. შერკინება რეგბის ერთ-ერთი მთავარი მომენტიცაა, რაც ვიზუალურადაც წააგავს ვერძთა შერკინებას.

3. ეს სახელწოდება გააადვილებს გუნდის ემბლემის შექმნას (თავდახრილი, საბრძოლოდ გამზადებული ვერძი).

ნურავის დააფრთხობს ამ სახელწოდების ორსიტყვიანობა — მსოფლიოში მრავალ ცნობილ სპორტულ კლუბსაც აქვთ ორსიტყვიანი სახელი. მაგალითად, ახალზელანდიელ რეგბისტთა გუნდი „ოლ ბლეკი" (მსოფლიო ჩემპიონია!) ფეხბურთელთა გუნდები „ტოტენჰემ ჰოტსპური", „ასტონ ვილა" და სხვა.

ჟურნალ „ბალავრის" სახელით:

**თამაზ კვაჭანტირაძე, ვახტანგ როდონაია, ზაზა თვარაძე, ბიგა კაკაბაძე.**

## მხარს ვუჭერ

„ლელოს" საშუალებით მშვენიერი იდეა მოგვაწოდა პატივცემულმა ვახტანგ მახარაძემ. ქალბატონმა ნონა გაფრინდაშვილმა მართლაც ბევრი გააკეთა ქართული, და არა მარტო ქართული ჭადრაკის განვითარებისთვის. დღესაც მის სახელს უკავშირდება ქართული ქალთა საჭადრაკო სკოლის ყველა წარმატება, ეს წარმატებები კი ყოველდღიურად მოდის მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან. მაშ, მხარი დავუჭიროთ შესანიშნავ იდეას — დავარქვათ თბილისის ქალთა საერთაშორისო ტურნირს მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონის, დიდოსტატ ნონა გაფრინდაშვილის სახელი.

**ელიზბარ უბილავა,**
**საერთაშორისო დიდოსტატი.**

საქართველოს სპორტსახკომში: დღის წესრიგშია ტყვიის სროლა, მშვილდოსნობა

## ოთხი წლის პანორამა

**წლეულს,** ახალი ოლიმპიური ციკლის დასაწყისში, საქართველოს სპორტსახკომის ხელმძღვანელობა ატარებს შეხვედრებს სპორტის ცალკეული სახეობების წარმომადგენლებთან, მწვრთნელებთან, სხვა სპეციალისტებთან, სადაც დეტალურად განიხილება ამა თუ იმ დისციპლინაში შექმნილი მდგომარეობა, უახლოესი ამოცანები (მაგალითად, მზადება IV საკავშირო ახალგაზრდული თამაშებისთვის) და პერსპექტიული გეგმები თვით მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე. ამჯერად სპორტსახკომში გამართული სხდომა მშვილდოსნობასა და ტყვიის სროლას მიეძღვნა.

აღინიშნა, რომ ჩვენში მშვილდოსნობას შედარებით ხანმოკლე, მაგრამ სახახელო ისტორია აქვს, გვყავდა შესანიშნავი სპორტსმენები — ლ. ახატუროვა, ქ. ლოსაბერიძე, რომელიც ოლიმპიური ჩემპიონი გახდა.

ამჟამად არსებული მდგომარეობა კი არ იძლევა ოპტიმიზმის საფუძველს, თუმცა გვყავს პერსპექტიული მშვილდოსნებიც. მწვრთნელების აზრით, თბილისელ მოსწავლეებს ნატო ნახარიძეს და სულიკო თოფურიას შეუძლიათ უახლოეს მომავალში ქვეყნის უძლიერეს სპორტსმენთა რიგებში ჩადგნენ. საკავშირო ახალგაზრდულ ნაკრებში არიან გამოძახებულნი გიორგი დოლიძე და დავით ლექვეიშვილიც, თუმცა მათთან დაკავშირებით პროგნოზი უფრო ფრთხილი იყო. მშვილდოსნობაში არასტაბილურ მუშაობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სპორტსმენები — საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ბირთვი — 1971-1974 წლებში არიან დაბადებულნი, საკავშირო თამაშებში სასპარეზოდ კი 3-6 წლით უფროსები დაიშვებიან. პრობლემაა გოგონათა გუნდის — ჩვენი ნაკრების წამყვანი რგოლისთვის მესამე წევრის მოძებნა, უამისოდ კი გუნდურ პირველობაში წარმატებაზე ფიქრი ძნელია.

სხდომაზე ისიც ითქვა, რომ მშვილდოსნებს ძალზე უჭირთ ბაზების მხრივ, ერთი ხეირიანი ღია სასროლეთიც არა აქვთ, რაც აშკარად მოქმედებს მათს შედეგებზე. ნაკრები გუნდი იძულებულია მუდამ შეკრებაზე იყოს, მწვრთნელი კი ცოტა გვყავს (სულ საქართველოში 16 სპეციალისტი მუშაობს) და შინ დარჩენილი სპორტსმენები ხშირად უმეთვალყუროდ არიან. აუცილებელია ღია სასროლეთის საკითხი უმოკლეს დროში გადაიჭრას, თუნდაც დროებითი ბაზა მოეწყოს.

იხ. მე-2 გვ.

## IV საკავშირო ახალგაზრდული...

### შეჯიბრებათა კალენდარი

**ეს** იყო შვიდი წლის წინ. საკავშირო ახალგაზრდული სპორტული თამაშების რიგით მესამე ფინალურ შეჯიბრებებში მონაწილეობა მიიღო 9 ათასამდე სპორტსმენმა, ასპარეზობის პროცესში გაუმჯობესდა ერთი მსოფლიოს, სამი ევროპისა და ექვსი საკავშირო რეკორდი.

გუნდური გამარჯვება მაშინ, 6051,1 ქულით რუსეთის ფედერაციის ნაკრებმა კოლექტივმა მოიპოვა. საქართველოს დელეგაციამ დააგროვა 1457 ქულა და X ადგილი დაიკავა, პარალელურად ტარდებოდა ჩათვლა ქალაქებს შორის. აქ უპირატესობა ბელორუსიის დედაქალაქის სპორტსმენთა მხარეს იყო. თბილისი ამ ასპარეზობაში VIII ადგილზე გავიდა.

წლეულს მაის-ივლისის პერიოდში ახალგაზრდობის IV საკავშირო თამაშები მოეწყობა. პროგრამაში, რომლის კალენდარს ქვემოთ გთავაზობთ სპორტის 39 სახეობაა შეტანილი. აი კალენდარიც:

**8-20 მაისი.** მრავალდღიანი ველორბოლა (ჭაბუკები). ყირიმი.

**14-24 მაისი.** მრავალდღიანი ველორბოლა (გოგონები). ყირიმი.

**1-10 ივნისი.** წყალბურთი. სევასტოპოლი.

**8-13 ივნისი.** ფრენბურთი (ჭაბუკები, გოგონები) მარიუპოლი, კრამატორსკი.

**19-24 ივნისი.** სამბო. დონეცკი.

**20-30 ივნისი.** ფარიკაობა, ზაპოროჟიე.

**21-27 ივნისი.** ცურვა. დონეცკი.

**27 ივნისი — 7 ივლისი.** მაგიდის ჩოგბურთი. ვოროშილოვგრადი.

**28 ივნისი—5. ივლისი.** მშვილდოსნობა. სუმი.

**28 ივნისი—8 ივლისი.** კალათბურთი (ჭაბუკები, გოგონები). დონეცკი. გორლოვკა.

**29 ივნისი—4 ივლისი.** ძიუდო (ჭაბუკები, გოგონები). დონეცკი.

**1-10 ივლისი.** აფროსნობა. მარიუპოლი.

**1-9 ივლისი.** ტყვიის სროლა. ლვოვი.

**1-8 ივლისი.** ჩოგბურთი. დონეცკი.

**1-6 ივლისი.** აკადემიური ნიჩბოსნობა. დნეპროპეტროვსკი.

**2-7 ივლისი.** სინქრონული ცურვა. დონეცკი.

**3-8 ივლისი.** სასტენდო სროლა. ვოროშილოვგრადი.

**3-16 ივლისი.** ჭადრაკი. კრამატორსკი.

**4-13 ივლისი.** ბალახის ჰოკეი (ჭაბუკები, გოგონები). ვასილკოვი. ბორისპოლი.

**5-11 ივლისი.** მძლეოსნობა. დონეცკი.

**7-10 ივლისი.** ბატუტზე ხტომა. დნეპროპეტროვსკი.

**7-12 ივლისი.** კლასიკური ჭიდაობა. დონეცკი.

**7-24 ივლისი.** ფეხბურთი. დონეცკი. მაკეევკა.

**8-15 ივლისი.** ბეისბოლი (ჭაბუკები). ჩერნოვცი.

**9-16 ივლისი.** სპორტული ტანვარჯიში. დონეცკი.

**10-16 ივლისი.** აკრობატიკა. ვინიცა.

**10-20 ივლისი.** ბადმინტონი. დნეპროპეტროვსკი.

**10-17 ივლისი.** წყალში ხტომა. სევასტოპოლი.

**11-17 ივლისი.** თანამედროვე ხუთჭიდი. ლვოვი.

**1[illegible]-19 ივლისი.** ცხენოსნობა. ვოროშილოვგრადი.

**13-18 ივლისი.** თავისუფალი ჭიდაობა. დონეცკი.

**13-17 ივლისი.** წყალსათხილამურო სპორტი. დნეპროპეტროვსკი.

**16-22 ივლისი.** სატრეკო ველოსპორტი. ტულა.

**16-24 ივლისი.** ხელბურთი (ჭაბუკები, გოგონები). დონეცკი. გორლოვკა.

**16-24 ივლისი.** ძალოსნობა. დონეცკი.

**16-24 ივლისი.** საგზატკეცილო ველოსპორტი. ჩერნოვცი.

**18-24 ივლისი.** მხატვრული ტანვარჯიში. დონეცკი.

**18-23 ივლისი.** საბაიდარო ნიჩბოსნობა და კანოე. ზუგრესი.

**21-30 ივლისი.** კრივი, დონეცკი.

## ვისაც გული და მკლავი ერჩის

**ორი** ერთმანეთს შედუღებულ-შერკინებული, ძარღვებდაბერილი, დაძაგრული, მთელი სხეულის ძალის ტვირთებისაგან აკანკალებულ-ატორტმანებული მკლავი... ცოტაც და, დაირღვევა წონასწორობა, გადაირკალება მაჯები, ერთი მკლავი „უკან დაიხევს" და უღონოდ „დაეცემა ზურგზე".

რა საოცარია მართლაც: რამდენი „უცხო" სახეობა შეემატა ჩვენ სპორტულ ცხოვრებას, რამდენი ჩვენეულის აღორძინება-განვითარებას ვცდილობდით და ვცდილობთ,



ეს უძველესი, რომანტიკული, ჭეშმარიტად ვაჟკაცური და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, სადა, უხარჯო და უდავიდარაბო სახეობა — მკლავის გადაწევა კი ახლა გაგვახსენდა. ამიტომაც არიან მადლობის ღირსნი ისინი, ვინც ამ სახეობის ჩვენში მყარად დანერგვაზე ჩამოაგდო სიტყვა და პირველი შეჯიბრების გამართვაც ითავა — ესაა ჩვენი უნივერსიტეტი.

არადა, რა დროული და საშურია ეს საქმე: ისე როგორც ბევრგან, ან უფრო მეტადაც, საქართველოში ოდითგან ფასობდა და ფასობს მკლავის ძალა, მაგრამ ისიც უეჭველია, რომ, სხვებისა არ იყოს, ახლა ჩვენშიც ბევრს ლაპარაკობენ კაცის განაზებაზე, მისი ფიზიკური და სულიერი ძალების დაქვეითებაზე. აი, თუნდაც ამიტომ არის საჭირო მკლავის გადაძალვის დანერგვა და პოპულარიზაცია — ცხადზე უცხადესია, რომ ეს სახეობა ხელს შეუწყობს კაცური ძალისა და ღირსების იდეალის დამკვიდრებას.

ხერხიანობით ცნობილ ქართველ კაცს ღონეც მუდამ ერჩოდა. ერთი არც ისე ძველი ამბავი გავიხსენოთ: იაპონიაში მყოფ ქართველ ძიუდოისტებს მასპინძლებმა მკლავის ძალა მოუსინჯეს და ამ საქმეში ფრიად გაწაფულებიც ერთობ გაკვირდნენ — ეს რა ძალა გქონიათო. სწორედ ამ ძალას უნდა ვუფრთხილდებოდეთ, ნიადაგ ვზრუნავდეთ მის „მოსაკრებად" და საამისოდ მკლავის გადაძალვაზე უკეთესს რას მოიფიქრებს კაცი. ეგაა, მთავარი არ უნდა დაგვავიწყდეს — ეს სახეობა საჩვენებელ, „საცირკო" სანახაობად არ უნდა ვაქციოთ, მომავალში ის აუცილებლად მასობრივი უნდა გახდეს.

ჯერჯერობით კი ყველას, ვისაც გული და მკლავი ერჩის, ვისაც ვაჟკაცური ჭიდილის ეშხი ხიბლავს, ვეპატიჟებით თბილისის უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში, სადაც 22 თებერვალს, 11 საათზე, პირველად საქართველოში, ჩატარდება უნივერსიტეტის ღია ჩემპიონატი მკლავის სპორტულ გადაძალვაში. შეჯიბრებაში მონაწილეობის მსურველებმა წინასწარ უნდა მიაკითხონ უნივერსიტეტის სპორტულ კლუბს (I კორპუსში).

როგორია საზოგადოებრივი აზრი? — სოციოლოგია და ფიზკულტურა

# კრიტიკულად შეფასდა

ადამიანის გაჯანსაღებისა და თავისუფალი დროის ნაყოფიერად გამოყენებაში ფიზკულტურასა და მასობრივ სპორტს უდიდესი მნიშვნელობა რომ ენიჭება, ამაზე ალარავინ დავობს. დღეს ბევრს მსჯელობენ ამ საკითხის აქტუალობაზე და ამ მიმართულებით დიდადაც ირჯებიან შესაბამისი სამსახურები. თუმცა, არც ის არის საიდუმლო, რომ მხოლოდ ლაპარაკით და მავანთა ენთუზიაზმით შეუძლებელია მოსახლეობის ფიზკულტურულ-სპორტული აქტივობის დონის საყოველთაო ამაღლება. საჭიროა გამოიძებნოს ის ოპტიმალური გზები, რომელთა საშუალებით მასობრივ სპორტში ჩაებმება მოსახლეობის დიდი ნაწილი. ვინ უნდა ეძებოს ეს გზები? ცხადია, მათ, ვისაც უშუალოდ ეხება მოსახლეობაში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული აქტივობის განვითარება. ამ საკითხით დაინტერესებულ ერთ-ერთ ასეთ სამსახურად უბნების საბინაო-საექსპლოატაციო სამმართველოები უნდა გვევლინებოდნენ. თუ როგორ მუშაობენ ამ მიმართულებით ეს სამსახურები, ამაზე საკმაოდ სრული წარმოდგენა შეგვიქმნა მოსახლეობაში ჩატარებულმა სოციოლოგიურმა გამოკითხვამ (ანკეტური მეთოდი). საზოგადოებრივ აზრზე დაყრდნობით, ჩვენ შეგვიძლია დაწვრილებით ვილაპარაკოთ საბინაო-საექსპლუატაციო სამმართველოების მუშაობაზე ფიზიკური კულტურისა და მასობრივი სპორტის სფეროში.

მაშ ასე, სოციოლოგიური გამოკვლევა (იგი მოაწყო ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სოციოლოგიის განყოფილებამ) ჩატარდა თბილისის 5 რაიონის 9 საწარმოსა და ორგანიზაციაში და უშუალოდ საცხოვრებელ ადგილებში 1989 წლის იანვრის მეორე ნახევარში. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 500 რესპოდენტმა.

როგორც კვლევის შედეგები გვიჩვენებს, გამოკითხული მოსახლეობის 53 პროცენტი აღნიშნავს, რომ მათ საცხოვრებელ ადგილებში არის სავარჯიშო პირობები (მარტივი ტიპის სპორტული მოედნები), მაგრამ მათი ვარგისიანობა დადებითად შეაფასა გამოკითხულთა მხოლოდ 15,6 პროცენტმა, 37,4 პროცენტი მათ განკარგულებაში მყოფ მარტივი ტიპის მოედნებს ვარჯიშისათვის უვარგისად თვლის. რაც შეეხება დანარჩენ 47 პროცენტს, მათ საერთოდ არ გააჩნიათ არავითარი სავარჯიშო პირობები.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი (40,2 პროცენტი) საერთოდ არ არის ინფორმირებული, ვინ უნდა აქცევდეს სათანადო ყურადღებას საცხოვრებელი უბნების სპორტულ მოედნებს და მხოლოდ გამოკითხულთა 11,4 პროცენტმა მიუთითა, რომ ამ საკითხს უნდა აწესრიგებდნენ საბინაო-საექსპლუატაციო სამმართველოები. რესპოდენტთა მიერ დასახელებული იყო აგრეთვე სხვადასხვა სპორტული თუ პროფკავშირული ორგანიზაციები.

რაც შეეხება საცხოვრებელ ადგილებში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და მასობრივ-სპორტული ღონისძიებების ჩატარებისას მოსახლეობის სპორტული ინვენტარით უზრუნველყოფის საკითხს (ამ საქმესაც საბინაო-საექსპლუატაციო სამმართველოები უნდა შეფობდნენ და, ამასთან, მოსახლეობაც ინფორმირებული უნდა იყოს ამის შესახებ, სარგებლობდეს სსს-ების მომსახურების ამ ფორმით). ანკეტირებისას ასეთი სურათი წარმოჩნდა: მოსახლეობის 57 პროცენტს არც კი გაუგია, რომ მათ შეუძლიათ ისარგებლონ მომსახურების ამ ფორმით. 24,3 პროცენტს მიაჩნია, რომ მათ საბინაო-საექსპლუატაციო სამმართველოებს სპორტული ინვენტარი არ გააჩნიათ. გამოკითხულთა მხოლოდ 18,1 პროცენტი აღნიშნავს, რომ საცხოვრებელ ადგილებში არის სპორტული ინვენტარი, მაგრამ მხოლოდ 5,3 პროცენტი თვლის, რომ მოსახლეობა ფართოდ იყენებს მას. დანარჩენები (12,8 პროცენტი) კი აღნიშნავენ, რომ ინვენტარის რაოდენობა (მათი სიმცირე) ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის მოთხოვნებს.

ცხადია, რომ საბინაო-საექსპლუატაციო სამმართველოს ფიზკულტურის მეთოდისტის გეგმაზომიერ და ნაყოფიერ მუშაობას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია ადგილებზე ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში. ვნახოთ, რა მდგომარეობაა ამ მხრივ: გამოკითხულების მხოლოდ 16,6 პროცენტი აფასებს მეთოდისტის მუშაობას დამაკმაყოფილებლად. 42,8 პროცენტს მიაჩნია, რომ მეთოდისტები ან საერთოდ არ მუშაობენ, ან იმდენად სუსტად და არასისტემატურად, რომ ვერ აკმაყოფილებენ მოსახლეობის მოთხოვნებს. 40,6 პროცენტმა საერთოდ არ იცის, არსებობს თუ არა მეთოდისტის შტატი საბინაო-საექსპლუატაციო სამმართველოში.

ძალზე უფერულად გამოიყურება საბინაო-საექსპლუატაციო სამმართველოების როლი სპორტული ზეიმების, მასობრივი სპორტული შეჯიბრებებისა და ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების პროპაგანდაში. გამოკითხულთა 67,6 პროცენტი თვლის, რომ მათი საცხოვრებელი ადგილების მიხედვით ფიზკულტურასა და მასობრივ სპორტს არავითარი პროპაგანდა არ ეწევა, არ არის თვალსაჩინო აგიტაცია და სხვა. 27,8 პროცენტის აზრით, პროპაგანდა იმდენად უსუსური და არააქტუალურია, რომ იგი ვერ იქცევს მოსახლეობის ფართო მასების ყურადღებას. მხოლოდ რესპოდენტთა 4,6 პროცენტი თვლის საცხოვრებელ ადგილებში გაწეულ პროპაგანდას საინტერესოდ და აქტუალურად.

ამას ემატება ისიც, რომ მოსახლეობა ვერ ხედავს უკეთესობისკენ ძვრებს საბინაო-საექსპლუატაციო სამმართველოების მიერ ამ მიმართულებით გაწეულ მუშაობაში. მხოლოდ 14,4 პროცენტს მიაჩნია, რომ მდგომარეობა მეტ-ნაკლებად გაუმჯობესდა. 37,4 პროცენტი თვლის, რომ სსს-ების მუშაობის სტილი უცვლელი დარჩა. 8,6 პროცენტი მათ მუშაობაში გაუარესებას ხედავს, ხოლო გამოკითხულთა 39,6 პროცენტი საერთოდ ვერ „ხედავს“ მათს მუშაობას.

საბინაო-საექსპლუატაციო სამმართველოების ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი საქმიანობის ზემოთ აღნიშნული ნაკლოვანებებიდან გამომდინარე, მოსახლეობას მიაჩნია, რომ ამ სამმართველოებმა მოსახლეობის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი აქტიობის შემდგომი ამაღლებისათვის:

— უნდა გააქტიურონ მუშაობა, გამოიჩინონ მეტი ენთუზიაზმი მოსახლეობის ფართო მასების ჩასაბმელად ფიზკულტურასა და სპორტში (39,4 პროცენტი).

— უზრუნველყონ სამსახურის დაკომპლექტება მომზადებული კადრებით (ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტებით), ისეთი სპეციალისტებით, რომლებიც აქტიურად გაშლიან ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობას მობინადრეთა შორის (38 პროცენტი).

— გააუმჯობესონ საცხოვრებელ ადგილებში ფიზკულტურისა და მასობრივი სპორტის განვითარებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (37,4 პროცენტი).

— მოსახლეობის მოთხოვნათა გათვალისწინებით; ხელი შეუწყონ მათ მომარაგებას სპორტული საქონლით და ინვენტარით (23,4 პროცენტი).

— გააუმჯობესონ (დახვეწონ) პროპაგანდის ფორმები მოსახლეობის ფართო მასების ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში მისაზიდად (10 პროცენტი).

ამრიგად, როგორც მონაკვლევი მასალიდან ჩანს, მასობრივი ფიზკულტურისა და სპორტის სფეროში საბინაო-საექსპლუატაციო სამმართველოების მიერ გაწეულ მუშაობას გამოკითხულნი ერთობ კრიტიკულად აფასებენ და უმრავლეს საკითხზე უარყოფითი აზრისანი არიან. ძვირფასო მკითხველებო! ცხადია, ჩვენ თქვენი აზრიც ძალზე გვაინტერესებს, ასე რომ, ნუ დაიზარებთ, მოგვწერეთ თქვენ რას ფიქრობთ, როგორია თქვენი წინადადებები, შენიშვნები...

**ირაკლი ფირცხალავა,**
**ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სოციოლოგიის განყოფილების უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი.**

**ჩვენი მისამართია:** 380062, ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 49 ა. ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. სოციოლოგიის განყოფილება.

**რედაქციის პოზიცია: „ლელო“ ბოლო ჟამებში სისტემატურად უთმობს ადგილს სოციოლოგთა გამოკვლევების შედეგებს, რაც პირველ ყოვლისა, ამ დარგში მომუშავე სპეციალისტების დამსახურებაა. გაზეთი მუდამ მზადაა ამ თემას ჯეროვანი ყურადღება დაუთმოს, მაგრამ, არ შეიძლება არ ითქვას, რომ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ვიკვლევთ და ამით მთავრდება ყველაფერი. როგორ აისახება მკვლევართა დასკვნები პრაქტიკულ საქმეში? აი, ეს არის მთავარი. დღემდე რედაქციას არც ერთი გამოხმაურება არ მიუღია იმის შესახებ, შესაბამისმა ორგანიზაციებმა განიხილეს თუ არა ეს საკითხი, და, რაც მთავარია, გამოიყენეს თუ არა იგი პრაქტიკულ მუშაობაში. თუ ეს საქმე არ მოგვარდა, სხვაგვარად უაზრობა იქნება ყოველგვარი კვლევა. ვფიქრობთ, ბოლოს და ბოლოს ჩვენში შემაშფოთებლად ჩამორჩენილ ისეთ სფეროს, როგორიცაა ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა და მასობრივი სპორტი, ნამდვილი ორგანიზატორები გამოუჩნდებიან: შეგახსენებთ, მდგომარეობის გამოსწორება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1989 წლის 17 იანვარს გამართული ბიუროს სხდომაზე მიღებული სადირექტივო მოთხოვნაცაა.**

# ოთხი წლის პანორამა

(დასასრული)

სხდომაზე ხაზი გაესვა უნაყოფო მუშაობას რეგიონებში. თბილისის გარდა რესპუბლიკის ნაკრები მხოლოდ ბათუმიდან იღებს შევსებას. იმის გამო, რომ სპეციალისტი არა ჰყავთ, შეჩერდა კარგად დაწყებული საქმე ზუგდიდში, სადაც საკმაოდ კარგი სასროლეთია. ქუთაისში კი ახლა განაახლეს მუშაობა.

სხდომაზე ზედმეტი „ქალალდომანიის“ გარეშე, ოპერატიულად მიიღეს გადაწყვეტილება მოწინავე, პერსპექტიული სპორტსმენებისათვის მატერიალური და სხვა სახის დახმარების გაწევის შესახებ.

ტყვიის სროლაშიც ბევრი პრობლემა არის გადასაჭრელი. საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებზე ჩვენს გუნდს სამი მედლის მოპოვება და IX ადგილზე გასვლა დაუსახეს მიზნად. ალბათ მიხვდით. ამ მედლებს ისევ ნინო სალუქვაძისგან ველით. სხვებს, „გაქცეულ ტახზე“ მსროლელთა გარდა, დღევანდელი შეფასებით მაინც, ამის ძალა არ შესწევთ. საქმეს ართულებს ის გარემოება, რომ საკავშირო თამაშებზე, სხვა სახეობებისგან განსხვავებით, 1966 წელს დაბადებული მსროლელები დაუშვეს. ეს ცხადია, იმას აძლევს ხელს, ვისაც დიდი რეზერვი ჰყავს, ჩვენ კი ამ მხრივ თავს ვერაფრით მოვიწონებთ.

ამჟამად ქვეყნის პირველ ნაკრებში ჩვენი მსროლელებიდან ირიცხება მარტო ნინო სალუქვაძე. მარინე აბაკელია, არტემ ძამოევი და მამუკა ბოსტოღანაშვილი საკავშირო ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატები არიან. ეს არის და ეს. თუმცა, საერთო აზრით, ქუთაისელ ილია ჩაგანავასაც ნაკრების დონეზე შეუძლია ასპარეზობა და იგი დახმარებას საჭიროებს (იგულისხმება როგორც მატერიალური წახალისება, ისე რეკომენდაცია საკავშირო ნაკრებში).

სპეციალისტებმა აღნიშნეს, რომ საქართველოში არიან სხვა კვალიფიციური და პერსპექტიული მსროლელებიც, მაგალითად, ხათუნა ბერიკაშვილი, ანდრეი დოლგაროვი... და მათი მომავალი მხოლოდ მწვრთნელების ეფექტურ მუშაობაზეა დამოკიდებული, დღესდღეობით კი, არათუ ცალკეულ ცენტრებში, როგორც უკვე ვთქვით, თვით ნაკრებშიც ბევრი პრობლემაა გადასაწყვეტი. აკლიათ კვალიფიციური მწვრთნელები, სპეციალისტებს კი არ სურთ თავის თავზე აიღონ პასუხისმგებლობა და ნაკრების წევრების მომზადებას მოჰკიდონ ხელი.

განსაკუთრებით მწვავედ გააკრიტიკეს დოსააფის მუშაობა. აღინიშნა, რომ მათს სპეციალისტებს ნაკლებად ადარდებთ რესპუბლიკის ნაკრების ბედი, არაფრით ეხმარებიან მას, თუმცა საკუთარი წარმატებებითაც ვერ დაიკვეხნიან — დოსააფის მსროლელთა გუნდი ერთ-ერთი აუტსაიდერია ქვეყნის მასშტაბით.

მკვეთრად შემცირდა მსროლელთა ჯგუფების რიცხვი პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებაში, თუმცა მისმა წარმომადგენელმა (სხდომას ესწრებოდნენ ყველა სპორტული საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილეები, აგრეთვე სახალხო განათლების სამინისტროს ფიზაღზრდის სამმართველოს უფროსი და სხვები) მიზეზად სასროლი ბაზების სიმცირე დაასახელა. ასეთივე მდგომარეობა ყოფილა სპორტსაზოგადოება „დინამოში“.

სხდომაზე ითქვა, რომ მეტისმეტად გაჭიანურდა ქუთაისში „დინამოს“ ტირის მშენებლობა. თვითონ სპორტსაზოგადოებას ამის სახსარი ჯერჯერობით არა აქვს (წელს მას მხოლოდ კაპიტალური რემონტისთვის გამოუყვეს თანხა). სპორტსახკომის ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს, თუ სხვა გამოსავალი არ მოინახა, მიმართონ საქართველოს მინისტრთა საბჭოს და ითხოვონ ნებართვა, რომ მშენებლობის დარჩენილი ხარჯები სპორტსახკომმა გაიღოს. მოვლა-პატრონობა სჭირდება დოსააფის სასროლეთსაც ვაშლიჯვარში, ეს დიდი ბაზა ნაწილობრივ თუა გამოყენებული.

სხდომაზე განსაკუთრებით გაესვა ხაზი თითოეული მწვრთნელის პასუხისმგებლობის საკითხს, აღინიშნა ცნობილი სპეციალისტის თენგიზ სერხეულიძის ნაყოფიერი მუშაობაც.

# კლუბი აფხაზეთშიც საჭიროა

საკმაოდ უკომპრომისო და მწვავე ორთაბრძოლებით აღინიშნა აფხაზეთის პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების ვაჟთა პირველობა ჭადრაკსა და შაშში, რომელშიც, შესაბამისად, 14 და 11 მონაწილე იბრძოდა გამარჯვებისათვის. შეიძლება გამოიყოს არაერთი შეხვედრა, რომელშიც მეტოქეებმა საინტერესო თამაში და კარგი თეორიული მომზადება გამოავლინეს. ეს განსაკუთრებით ითქმის პირველთანრიგოსნებზე, ტოლი რომ არ დაუდეს ოსტატებსა და ოსტატობის კანდიდატებს. ისინი კი მონაწილეთა 50 პროცენტს შეადგენდნენ. და მაინც, ბევრს უკმარისობის გრძნობა დარჩა იმის გამო, რომ მოთამაშეთა მზადების დონე შეიძლებოდა გაცილებით უკეთესი ყოფილიყო. მართალია, შეჯიბრების რეგლამენტი საკმაოდ მკაცრი გამოდგა — ყოველდღიურად თითოეულ მონაწილეს ორი პარტიის თამაში მოუწია, მიუხედავად ამისა, შეცდომები, ზოგჯერ ელემენტარულიც კი, ძალზე ბევრი იყო, რაც იმით უფრო აიხსნება, რომ ავტონომიურ რესპუბლიკაში იშვიათად ტარდება ასეთი მასშტაბის შეჯიბრებები. აქვე უნდა ითქვას, რომ აქაურ მოჭადრაკეებსა და მოშაშეებს საკუთარი ბაზაც არ გააჩნიათ. სოხუმის „დინამოს“ ის პატარა საჭადრაკო კლუბი თავისი ფართობითა და სპეციალისტთა შეზღუდული საშტატო ერთეულებით ვერ უზრუნველყოფს გეგმაზომიერ სასწავლო-სპორტული მუშაობის გაშლას აქ ძველთაძველი თამაშების მოყვარულთა შორის.

კარგა ხანია მომწიფდა იმის აუცილებლობა, რომ აფხაზეთში შეიქმნას მოჭადრაკეთა და მოშაშეთა რესპუბლიკური კლუბი, ხოლო მრავალრიცხოვან მოყვარულ პენსიონერებს სტუმართმოყვრულად უნდა ხვდებოდნენ კულტურის სახლებში, სასახლეებში, კლუბებში, პარკებსა და წითელ კუთხეებში და სოხუმის ლენინის სახელობის პარკის დირექციის მსგავსად უნდა გამოუყონ მათ სათამაშო ადგილი, დაფები და მაგიდები.

მშრომელთა სხვადასხვა ფენის ამ თამაშებში მიზიდვის მიზნით წარმოება-დაწესებულებებში საჭიროა შეიქმნას ჭადრაკისა და შაშის ოთახები, რაც დიდად შეუწყობს ხელს მასობრივი აქტიური დასვენების ორგანიზაციას. ამ მხრივ მისაბაძია სოხუმის ფოსტამტის ადგილკომის მაგალითი, რომელმაც შექმნა ჭადრაკისა და შაშის ოთახი, სადაც ეს ასპარეზობა გაიმართა.

ახლა რაც შეეხება თვით ასპარეზობას. მოჭადრაკეთა შორის საზოგადოების ჩემპიონობა მოიპოვა ოჩამჩირელმა ოსტატობის კანდიდატმა ს. მინასიანმა, რომელმაც წაუგებლად განვლო ტურნირი და 14 ქულა დააგროვა. გამარჯვებულს ქულით ჩამორჩა სოხუმელი ა. ღარაბანდურიანი, 9-9 ქულით მესამე ადგილი აფხაზეთის უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ტ. ალაზარიანმა და ტყვარჩელელმა ა. შკლიაევმა გაიყვეს. პირად შეხვედრის შედეგის მიხედვით უპირატესობა სოხუმელს მიენიჭა.

მოშაშეთა ტურნირში თავი ისახელა გალელმა მ. ქარდავამ (8 ქულა). 7-7 ქულით დაამთავრეს ასპარეზობა უნივერსიტეტელმა ვ. ფეოდოროვმა და მეციტრუსეობის ინსტიტუტის სტუდენტმა მ. გვალიამ, მაგრამ კოეფიციენტის ცხრილით მეორე პრიზიორობა უნივერსიტეტის სტუდენტს მიეკუთვნა.

სპეციალური პრიზით დაჯილდოვდა სუბტროპიკული ინსტიტუტის სტუდენტი გოგონა თ. იაშვილი — მოჭადრაკე ვაჟთა ტურნირში გაბედული, უკომპრომისო თამაშისთვის. ყველაზე ახალგაზრდა მონაწილეების პრიზები გადაეცათ სოხუმის რაიონის მოჭადრაკეს დ. ზაქარაიას და სოხუმელ მოშაშეს ს. ქეშეშიანს.

გაიმართა პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებების საჭადრაკო და მოშაშეთა ფედერაციების სხდომები, აირჩიეს პრეზიდიუმები.

ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარე გახდა ა. თევზაია, შაშისა — გ. არუთინოვი.

**ბ. არუთინოვი,**
**რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.**

ახალი წიგნი

# „სრულყოფის გზები“

ამ სათაურით გამომცემლობა „ფიზკულტურა ი სპორტმა“ დაბეჭდა ცნობილი საჭადრაკო პედაგოგის, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ვლადიმერ ზაკის წიგნი, რომელიც განკუთვნილია კვალიფიციური მოჭადრაკეების, მწვრთნელებისა და საჭადრაკო სექციების პედაგოგებისთვის.

საინტერესოა თავები: „შემოქმედებითი განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპები“, „ახალგაზრდა მოჭადრაკეთა ტიპიური შეცდომები“, „პოზიციური და კომბინაციური სტილის მოჭადრაკეთა შესახებ“, „დამოუკიდებელი მუშაობა“, „ზოგი რამ მწვრთნელების შესახებ“... წიგნში არაერთი ციტატა გვხვდება, რომელთა საშუალებითაც ავტორი ცნობილი მოჭადრაკეების გონივრულ რეკომენდაციებს გვთავაზობს. მისასალმებელია, რომ ზოგჯერ მათი ნააზრევი ჭადრაკის დაფას სცილდება და, ჩემის აზრით, რჩევა-დარიგებანი მოზარდ თაობას ცხოვრებაში საგზლად გამოადგება.

პარტიების ერთი ნაწილი დიდ პრეტენზიას არ აცხადებს, ამ შემთხვევაში „ნეგატიური“ გამოცდილება არანაკლებად ფასობს, ვიდრე დადებითი. ნათქვამია, წინა კაცი უკანას ხიდიაო. ვლ. ზაკი მოჭადრაკეთა ტიპიურ შეცდომებზე მსჯელობს და შესაბამის წინადადებებს გვთავაზობს ლაფსუსების თავიდან აცილების მიზნით.

წიგნში ჩვენს თანამემამულეებსაც ვხვდებით: მაია ჩიბურდანიძეს, ნანა იოსელიანს, ზურაბ აზმაიფარაშვილს. ავტორს კეთილი სიტყვები არ დაუშურებია ვახტანგ ქარსელაძის მიმართ, რომელმაც აღზარდა არაერთი ცნობილი მოჭადრაკე, პირველ ყოვლისა, ნონა გაფრინდაშვილი და ნანა ალექსანდრია.

სარეცენზიო წიგნი საზოგადოებრივი თუ საოჯახო საჭადრაკო კერების სასურველი სტუმარია. ის რეალურ სამსახურს გაუწევს ამ ბრძნული თამაშის მოყვარულთ, რომელთაც გული კვალიფიციური ასპარეზობისაკენ მიუწევთ.

**თენგიზ კახელიშვილი.**



# სანდრო კანდელაკიდან დღემდე

**ქართული** ჭიდაობის ჩვეულებრივი სარბიელი ნახერხმოყრილი წრეა, მაგრამ ეს შეჯიბრება რაგინდ დიდ დარბაზშიც უნდა გამართოთ, შეიშნობს, არ დაიკარგება. თბილისის სპორტის სასახლეში ბევრჯერ გამართულა „კარგი ჭიდაობა". კვირასაც ასე იყო, როდესაც დავით აღმაშენებლის ზეობის 900 წელი ვიზეიმეთ და ამის გამო საქართველოს ქალაქების უბნებისა და სოფლების პირველობის ბოლო შეხვედრები (ქვეჯგუფებში) ბავშვთა კალათბურთის სასახლიდან სწორედ აქ გადმოიტანეს.

რადგან საზეიმო დღე იყო, ორგანიზატორებიც (საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და სპორტსახკომის მუშაკები) და მასპინძლებიც (სპორტის სასახლის დირექცია) საგანგებოდ გაისარჯნენ და შეჯიბრებაზე ესეც გამოჩნდა. მუსიკოსებისთვის ქალაქური სამოსი საგანგებოდ გამოგზავნა კინოსტუდია „ქართულმა ფილმმა", რომელმაც ქართული ჭიდაობის სპონსორობა იკისრა.

შეჯიბრება კი ვაქეთ, მაგრამ იმას როდი ვამბობთ, რომ ყველა ორთაბრძოლა მაღალი დონისა იყო. საერთოდ, ქალაქების უბნებისა და სოფლების გუნდების პირველობა ცოცხალი, მოულოდნელობით ალსავსე, მეტად ემოციური ასპარეზობაა, სადაც უმაღლეს ოსტატობასაც ნახავთ და პირდაპირ კომიკურ სიტუაციებსაც. არის შემთხვევები, როდესაც მოჭიდავე თავისზე თითქმის ორჯერ მძიმე მეტოქეს ერკინება, მაგრამ დაბეჯითებით ვამბობთ, არც ერთ ჭიდაობაში ფიზიკური ძალა ისე არ კარგავს მნიშვნელობას, როგორც ქართულში.

მეტი რომ არა ვთქვათ, ძალზე კონტრასტული იყო ოძისელი (დუშეთის რაიონი) გელა ოდიშვილისა და საქობოელი (სიღნაღი) ჯონი ქვრივიშვილის აღნაგობა, მაგრამ შეხვედრის შემდეგ ხალიჩას თავჩაქინდრული ტოვებდა გაცილებით მძიმე წონის ქვრივიშვილი.

— ცეცხლად გექცეს, რაც მამაშენს შენთვის მწვადი უჭმევია! — ვეღარ მოითმინა ლევან თედიაშვილმა, რომელიც იქვე იჯდა გულშემატკივრებში.

ასპარეზობას სხვა ცნობილი ფალავნები და სპეციალისტებიც ესწრებოდნენ. მთავარი მსაჯი გახლდათ ოლიმპიური ჩემპიონი შოთა ხაბარელი.

8 თებერვალს გამართული შეხვედრებით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დამთავრდა შეჯიბრების პირველი ეტაპი და გამოვლინდა თექვსმეტივე გუნდი, რომლებიც მერვედფინალში გააგრძელებენ ბრძოლას.

საქობოსა და ოძისის ფალავანთა შეხვედრა კი უკვე აღარაფერს წყვეტდა, რადგან ორივე გუნდი ტოვებდა ასპარეზობას (უკვე ორორი მატჩი ჰქონდათ წაგებული). და მაინც, იმ პრინციპული მოსაზრებით, რომ კვლავ დამარცხებულნი არ დაბრუნებულიყვნენ შინ, მეტოქეებმა, უშელავათო ორთაბრძოლები გამართეს. ახალგაზრდა საქობოელი მწვრთნელი გია სპანდერაშვილი ხალისით აღევნებდა თვალს თავის მოწაფეებს (ყველა მათგანი სკოლის მოსწავლე იყო), რომლებიც დაწინაურდნენ ანგარიშით 3:0, მაგრამ შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა (3:3) და მწვრთნელი იძულებული გახდა თვითონ გასულიყო სარბიელზე. მან ორი შეხვედრა მოიგო (დებულების მიხედვით, ყოველ ფალავანს შეუძლია ორ მეტოქეს შეხვდეს, ოღონდ ზედიზედ). აღსანიშნავია, რომ საქობოელ მოჭიდავეთა თავკაცს შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია წონით გაცილებით მსუბუქმა სეხნიამ გიანაცვლიშვილმა და შეხვედრა დამთავრდა ანგარიშით 1:0. საბოლოოდ კი გაიმარჯვა საქობოს გუნდმა — 5:4.

პრინციპული ხასიათი ჰქონდა მეზობელი სოფლების — ქორდისა (გორის რაიონი) და ხანდაკის (კასპის) მოჭიდავეთა შეხვედრას, თორემ ორივე გუნდი მერვედფინალში უკვე გასული იყო. ქორდელები დაწინაურდნენ — 4:2, მაგრამ შემდეგ წრეში შევიდა ხანდაკელთა ცნობილი ფალავანი დავით ხოდელი, მან პირველი შეხვედრა წმინდად მოუგო დავით ელიაშვილს, მაგრამ თამაზ ჯაბალაძეს ვეღარ აჯობა და დამარცხდა. ამჯერ ხანდაკელებმა გამარჯვება დაისაკუთრეს, თუმცა მათი მთავარი ძალა, ძიუდოისტთა საკავშირო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი ანზორ თენაძე, ჯერ არ გამოსულიყო სარბიელზე. იქნებ აღარც გამოჩენილიყო, გულშემატკივრები რომ არ ახმაურებულიყვნენ: თენაძე, თენაძე!.. და ცნობილი ფალავანიც საჭიდაოდ გაემზადა. მას საკმაოდ ძნელი შეხვედრა ჰქონდა რამაზ გოგიაშვილთან, გამარჯვებით კი მაინც გაიმარჯვა (2:1) და ხანდაკელთა გუნდმა (მწვრთნელი მიხეილ ქისიშვილი) საბოლოო წარმატება მოიპოვა — 6:3.

საქართველოს დასავლეთ რაიონებიდან შეჯიბრებაში ცოტა გუნდი მონაწილეობს. მათ შორის ერთ-ერთი საუკეთესოა ვანის რაიონის სოფელ სალხინოს კოლექტივი. ვანელებმა ახლაც შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწიეს გაცილებით გამოცდილ და ძლიერ მეტოქეებს — გავაზელ ფალავნებს (ყვარლის რაიონი), თუმცა მაინც დამარცხდნენ — 3:6. აღსანიშნავია, რომ გავაზელებს ბოლო ორი გამარჯვება მათმა „მოთამაშე მწვრთნელმა" ბექან კოტაშვილმა მოუპოვა.

ქალაქების უბნებისა და სოფლების გუნდების შეხვედრებს ჩამოსულთა გარდა ბევრი უკვე ასაკში შესული თბილისელი ესწრება, რომელთაც ახალგაზრდობიდან გამოჰყვა ჭიდაობის სიყვარული.

— შვილო, მე ეს ფუტბოლი არ ვიცი, — გვითხრა 77 წლის ვახტანგ ბეროშვილმა, — ჭიდაობა კი ბავშვობიდანვე მიყვარს, არც ერთ შეხვედრას არ გავაცდენ. სანდრო კანდელაკის ჭიდაობაც მინახავს. გული მწყდება, რომ ახალგაზრდები აღარ ეტანებიან ქართულ ჭიდაობას, თორემ აი, გინდაც ძიუდოში, სულ ჩვენი ილეთებია. გავიგე, დეკემბერში ფალავნობაზე საერთაშორისო შეჯიბრება გაიმართებაო. მწოლიარეც რომ ვიყო, ავდგები და აუცილებლად მოვალ.

**გიორგი ჩოხიშვილი.**

პატივცემულო რედაქცია!

როგორც მოგეხსენებათ, შარშან შეიქმნა თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის გულშემატკივართა კლუბი. ამის შესახებ პრესაში გამოქვეყნდა მასალები. ჩვენ გავეცანით კლუბის წესდებას, გავხდით „დინამოს" გულშემატკივართა კლუბის წევრები, გადავიხადეთ საწევრო შესატანი და მივიღეთ მოწმობები, რომელსაც აწერია: „ფეხბურთის გულშემატკივართა კლუბი". წელს „დინამო" პროფესიულ კლუბად გადაკეთდა და თითქოს ყველაფერი თავიდან დაიწყო.

ვერაფერი გაგვიგია — შარშან შექმნილ გულშემატკივართა კლუბს აღარც კი ახსენებენ. გთხოვთ, გვიპასუხოთ, როგორ მოვიქცეთ — ხელახლა გავწევრიანდეთ თუ შარშან მიღებული კლუბის წევრობის მოწმობები ძალაში დარჩება?

**ნაირა იორამაშვილი.**

## მკითხველი — გაზეთი

**რედაქციაში** მრავლად მოდის ასეთი ბარათები, გულშემატკივრებს აინტერესებთ თუ რა ბედი ეწევა თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდთან არსებულ გულშემატკივართა კლუბს. „ლელოში" მოვიწვიეთ ამ კლუბის პრეზიდენტი გ. ქავთარაძე, რომელსაც ვთხოვეთ პასუხი გაეცა კლუბის წევრთა შეკითხვებზე:

— 1989 წლის საფეხბურთო სეზონი კარზეა მომდგარი, თბილისის „დინამო" წელს პირველად გამოდის პროფესიული კლუბის სტატუსით. ჩვენი უპირველესი მოვალეობაა ერთსულოვანი თანადგომით გავამხნევოთ და გვერდში ამოვუდგეთ რესპუბლიკის პირველ გუნდს. გულშემატკივართა კლუბის დაარსების მიზანიც სწორედ ეს იყო. დარწმუნებული ვარ, ყველა ის წევრი, რომელიც ჩვენს კლუბში იყო გაერთიანებული, ახლადშექმნილი კლუბის წევრი გახდება.

თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის გულშემატკივართა კლუბი ახლა 677 წევრს აერთიანებს. ჩვენი კლუბის წევრთა საყურადღებოდ ვაცხადებთ — ვისაც სურვილი აქვს გახდეს თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის ახლადშექმნილი კლუბის წევრი, ვთხოვთ გამოცხადდეს კლუბში და თან იქონიოს წევრობის მოწმობა.

როგორც გამოცხადებული იყო, კლუბის წევრად გახდომის მსურველთათვის წლიური გადასახადია 12 მანეთი, მოსწავლეებისა და ჯარისკაცებისთვის — 2 მანეთი. ჩვენი კლუბის წევრთა გადასახადის 50 პროცენტს გადაიხდის კლუბი, დანარჩენს, ე. ი. 6 მანეთს (მოსწავლეები და ჯარისკაცები — 1 მანეთს), გაწევრიანების მსურველები შესატანს პირადად გადაიხდიან გულშემატკივართა კლუბის პასუხისმგებელ მდივანთან.

მსურველთა მიღება იწარმოებს 3 დღეს, 18, 19 და 20 თებერვალს (შაბათს, კვირას და ორშაბათს). შაბათს და კვირას დილის 10 საათიდან 14 საათამდე, ორშაბათს — 17-დან 21 საათამდე.

შეგახსენებთ ჩვენს მისამართს: თბილისი, აკ. წერეთლის გამზირი №2, თბილისის „დინამოს" სტადიონი (დასავლეთი ტრიბუნის I იარუსი). გულშემატკივართა კლუბი. ტელეფონი: 35-06-82. აღნიშნული დღეების შემდეგ კლუბის წევრთა პრეტენზიები აღარ მიიღება და მათი გაწევრიანება მოხდება საერთო წესით (ე. ი. მთლიანი თანხის გადახდით შემნახველ სალაროებში).

სასურველია, პირველ დღეს გამოცხადდნენ კლუბის ის წევრები, რომელთა მოწმობის ნომერი 1-დან 200-მდეა, მეორე დღეს 200-დან 400-მდე და მესამე დღეს 400-ის ზევით.

# საწვრთნელი მატჩი

**ბათუმის** დინამოელებმა მეორე საწვრთნელი მატჩი გამართეს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ქ. ლოძის ლკს-თან. თამაში მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით დამთავრდა — 2:0. ორივე ბურთი 30-ე და მე-60 წუთებზე ვასილ მიქაშავიძემ გაიტანა.

დინამოელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: კუცია (ბალაძე), ი. მახარაძე (ათუაშვილი), მაისურაძე, კობესოვი, ჩიქოვანი, მ. მახარაძე, კიკლიაშვილი, მეშკოვი (თორღაშვილი), კაკილაშვილი, ქვანია, მიქაშავიძე.

ეს გუნდები ბოლო, მესამე შეხვედრას 16 თებერვალს გამართავენ, 19 თებერვალს კი ბათუმის „დინამო" ბულგარეთში მიემგზავრება საწვრთნელ შეკრებაზე.

**ლევან ქავჟარაძე.**
**(„ლელოს" საკ. კორ.).**

# მსაჯთა თათბირზე

**მოსკოვში** გაიმართა ფეხბურთის მსაჯთა საკავშირო თათბირი, რომელშიც მონაწილეობდნენ საკავშირო შეჯიბრებების მომსახურე არბიტრები. თათბირზე შეაჯამეს შარშანდელი სეზონის შედეგები და დასახეს მომავლის ამოცანები.

# საუდის არაბეთში. მსოფლიო ჩემპიონატზე...

**სსრ კავშირის** იუნიორ ფეხბურთელთა (21 წლამდე) ნაკრები საუდის არაბეთს გაემგზავრა ამ ასაკის ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობისთვის. შეჯიბრების სპონსორად საქვეყნოდ ცნობილი ფირმა „კოკა-კოლა", ტურნირი გაიმართება 16 თებერვალიდან 3 მარტამდე. ნაკრების უფროსი მწვრთნელია ბორის იგნატიევი. გუნდში 18 ფეხბურთელია: ვლადიმერ პჩელნიკოვი, გინტარას სტაუჩე, ოლეგ ბენკო, ომარ თეთრაძე, ოლეგ ტაბუნოვი, სერგეი ზაიაცი, სერგეი ბეჟენარი, არაფ ასადოვი, იური მოროზი, ვალერი პოპოვიჩი, მირჯალოლ კასიმოვი, ბახვა თედეევი, ვიქტორ ონოპკო, ანდრეი ტიმოშენკო, ოლეგ მატვეევი, სერგეი კირიაკოვი, ოლეგ სალენკო, იური ნიკიფოროვი.

მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში გამოდიან 16 სახელმწიფოს გუნდები, რომლებიც 4 ჯგუფად არიან დაყოფილნი.

**„ა" ჯგუფი.** საუდის არაბეთი, ნიგერია, პორტუგალია, ჩეხოსლოვაკია;

**„ბ" ჯგუფი.** სსრ კავშირი, სირია, კოსტა-რიკა, კოლუმბია.

**„ც" ჯგუფი.** აშშ, ბრაზილია, მალი, გდრ;

**„დ" ჯგუფი.** არგენტინა, ნორვეგია, ერაყი, ესპანეთი.

საბჭოთა ფეხბურთელები ქალაქ დამამში იასპარეზებენ: **17 თებერვალს** — სირიასთან, **19 თებერვალს** — კოსტა-რიკასთან, **22 თებერვალს** — კოლუმბიასთან. ჯგუფებში გამარჯვებული 4 გუნდი შექმნის ორ ნახევარფინალურ წყვილს. მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩი 3 მარტს გაიმართება საუდის არაბეთის დედაქალაქ ერ-რიადში.

# „დნეპრი" — „აინტრახტი"

**მაინის** ფრანკფურტში შედგა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ადგილობრივ „აინტრახტსა" და დნეპროპეტროვსკის „დნეპრს" შორის. თამაშს 15 ათასი მაყურებელი დაესწრო. „დნეპრმა" გაიმარჯვა ანგარიშით 3:1, მასპინძელთა კარში ბურთები გაიტანეს ბაგმუტმა, იუდინმა და კაბაევმა.

## საერთაშორისო ფეხბურთი: შედეგები, ცხრილები

გაიმართა უცხოეთის საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი ტურის მატჩები.

### იტალია

**მე-16 ტური.** „ინტერი" — „ტორინო" 2:0, „პიზა" — „ნაპოლი" 0:1, „ელჩე" — „ატალანტა" 2:1, „რომა" — „ვერონა" 0:0, „კომო" — „ჩეზენა" 0:0, „იუვენტუსი" — „პესკარა" 1:1, „ასკოლი" — „მილანი" 0:2, „სამპდორია" — „ლაციო" 1:0, „ბოლონია" — „ფიორენტინა" 1:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ინტერი" | 16 | 25-5 | 28 |
| „ნაპოლი" | 16 | 32-11 | 25 |
| „სამპდორია" | 16 | 20-9 | 22 |

### ინგლისი

**28-ე ტური.** „არსენალი" — „ვესთ ჰემი" 2:1, „ასტონ ვილა" — „შეფილდი" 2:0, „ჩარლტონი" — „ნორვიჩი" 1:2, „დერბი" — „საუთჰემპტონი" 3:1, „ევერტონი" — „უიმბლდონი" 1:1, „ლუტონი" — „ნოტინგემი" 2:3, „მიდლსბრო" — „ქოვენთრი" 1:1, „ნიუკასლი" — „ლივერპული" 2:2, „ქუინს პარკი" — „მილუოლი" 1:2, „მანჩესტერი" — „ტოტენჰემი" 1:0.

| | | |
|---|---|---|
| „არსენალი" | 22 | 47 |
| „ნორვიჩი" | 23 | 44 |
| „ქოვენთრი" | 23 | 37 |

### საფრანგეთი

**25-ე ტური.** „ლილი"—„კანი" 1:0, „ოსერი" — „მონაკო" 0:0, „ტულონი"— „კაენი" 1:0, „სოშო" — „სენ ჟერმენი" 2:1, „ნიცა" — „მეცი" 1:1, „რესინგი" — „მარსელი" 0:2, „სტრასბურგი" — „ლავალი" 3:0, „მონპელიე" — „ლანი" 2:0, „სენტ ეტიენი" — „ბორდო" 1:0, „ტულუზა" — „ნანტი" 1:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „პარი სენ ჟერმ." | 25 | 33-19 | 50 |
| „ოსერი" | 25 | 32-21 | 49 |
| „მარსელი" | 25 | 37-28 | 46 |

### პორტუგალია

**24-ე ტური.** „ამადორა" — „სეტუბალი" 1:1, „სპორტინგი" — „მადეირა" 4:0. „ბოავიშტა" — „შავიში" 4:0, „პენაფიელი" — „ბრაგა" 0:1, „ესპინიო" — „ბეირა მარი" 2:1, „გიმარაეში" — „ლეიქსოეში" 2:0, „პორტიმონენსე" — „პორტო" 1:1, „ვისეუ" — „ბენფიკა" 0:1, „ფუნჩალი" — „ბელენენსეში" 1:0, „ფარენზე" — „ფაფე" 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბენფიკა" | 24 | 35-10 | 38 |
| „პორტო" | 24 | 27-18 | 34 |
| „სპორტინგი" | 24 | 35-17 | 30 |

### თურქეთი

**21-ე ტური.** „ესკიშეჰირსპორი" —„ბეშიქთაში" 0:1. „კონიასპორი" — „რიზესპორი" 1:1, „კარსიაკა" —„ანკარაგიუჯუ" 2:2, „ბურსასპორი" — „ალტაი" 2:0, „საკარიასპორი" — „ტრაბზონსპორი" 1:0, „ფენერბახჩე" — „კაჰრიმანი" 4:1, „მალატიასპორი" — „გალათასარაი" 0:0, „ბოლუსპორი" — „დემირსპორი" 0:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ფენერბახჩე" | 21 | 54-15 | 52 |
| „ბეშიქთაში" | 20 | 48-9 | 50 |
| „ბოლუსპორი" | 21 | 37-23 | 39 |

### ბელგია

**21-ე ტური.** „ანტვერპენი" — „მოლენბეკი" 0:1, „სენტ ტრუდენი" — „შარლერუა" 0:0, „ბრიუგე" — „კორტრეიკი" 1:1, „დიოკერენი" — „ლიეჟი" 0:3, „ანდერლეხტი" — „ბევერსკოტი" 3:3, „ლიერსი" — „ბევერენი" 0:2, „სტანდარდი" — „სერკლი" 1:0, „ვარეგემი" — „გენკი" 3:1, „ფკ მეჰელენი" — „რესინგი მეჰელენი" 3:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „მეჰელენი" | 21 | 43-13 | 36 |
| „ანდერლეხტი" | 21 | 55-20 | 34 |
| „ლიეჟი" | 21 | 43-16 | 29 |

### საბერძნეთი

**მე-18 ტური.** „ოლიმპიაკოსი" — ოფი 2:0, „ლევადიაკოსი" — „დოქსა" 1:1, „ეთნიკოსი" — „ვოლოსი" 4:0, „არისი" — „დიაგორასი" 2:0, „ირაკლისი" — „პაოკი" 0:0, „აპოლონი" — „პანიონიოსი" 1:1, „ლარისა" — „კალამარია" 4:0, აეკ-ი — „პანათინაიკოსი" 0:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ოლიმპიაკოსი" | 18 | 34-13 | 26 |
| აეკ-ი | 18 | 34-9 | 26 |
| „ირაკლისი" | 18 | 28-17 | 23 |

(საქ. ინფ.)

## მიეძღვნა დიდი წინაპრის ზეობის 900 წლისთავს

როგორც უკვე ვიუწყებოდით, დავით აღმაშენებლის ზეობის 900 წლისთავთან დაკავშირებით თბილისში ბევრი სპორტული ღონისძიება გაიმართა.

საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის სასახლეში ჩატარდა ღია ჩემპიონატი. მძლეოსნობაში, მონაწილეობდნენ ნორჩი და მოზარდი სპორტსმენები. სულ მოასპარეზეთა რიცხვი 450-ს აღწევდა.

სპორტკლუბ „სინათლემ" კი თავი მოუყარა ძალოსნობის ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური სკოლის პირადი პირველობის მონაწილეებს.

დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სპორტკლუბ „შევარდენმა" მხატვრულ ტანმოვარჯიშეებს უმასპინძლა.

სპორტული ღონისძიებები გაიმართა აგრეთვე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტულ ბაზებზე. აქ ჩატარდა შეჯიბრებები ძიუდოში, თავისუფალ ჭიდაობაში და მშვილდოსნობაში. მოეწყო აგრეთვე ამ ინსტიტუტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წყალბურთელთა მატჩი. შეხვედრა უნივერსიტეტელებმა მოიგეს ანგარიშით 25:20.

## მარსამდე მანძილი 298146 კილომეტრით შემცირდა

(დასასრული)

თეს საჩვენებელი შეხვედრა მინიფეხბურთში. ბევრი მათგანი ერთმანეთს ეჯიბრებოდა მძლეოსნურ სექტორში — სიგრძეზე ხტომაში, სიმძიმეების აწევაში, საბურავების დაბერვაში...

სპორტკლუბ „ფოლადის" დარბაზში ჩატარდა პროფკავშირთა ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების ჭაბუკთა ღია პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში.

პირველი დაუსწრებელი საერთაშორისო ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიების რუსთავი-სენტ ჯონსის საზეიმოდ დახურვაზე, საკავშირო სპორტსახკომის მწვრთნელ-ინსპექტორმა ვლადიმერ პერენინმა რუსთაველებს მიულოცა აქციის ორგანიზებულად და წარმატებით ჩატარება.

სპორტული დღესასწაული დასრულდა. ჯერ ალბათ ნაადრევია მის შედეგებზე მსჯელობა, ერთი რამის თქმა კი დაბეჯითებით შეიძლება. საფუძველი ჩაეყარა ძალზე სასარგებლო ასპარეზობას, თუ როგორი მიმართულება და მასშტაბები მიეცემა. ამას მომავალი გვიჩვენებს.

**ბოჩა კავილაძე,**
**თბილისის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის VI კურსის სტუდენტი.**

**რაუდენ გაბრიჭიძის** ფოტოები.



## ლენდლი მესხი და სხვები

**ახალი** სპორტული სეზონის დასაწყისი ყველაზე უფრო ცხადად, ჩოგბურთის კორტებზე იგრძნობა. მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში უამრავი საერთაშორისო ტურნირი ტარდება.

**ფეირფაქსში** (აშშ) გაიმართა „ვირჯინია სლიმზის" სერიის ერთ-ერთი პირველი ტურნირი, რომელშიც ჩვენმა თანამემამულემ მესხმა სასტარტო მატჩში დაამარცხა ცნობილი ამერიკელი სპორტსმენი ტერი ფელპსი — 2:6, 6:1, 6:2.

**კალინინგრადელი** ალექსანდრე ვოლკოვი მილანში „გრან პრის" სერიის ტურნირში ასპარეზობს. პირველ შეხვედრაში მან აჯობა იუგოსლავიის ერთ-ერთ უძლიერეს ჩოგბურთელს გორან ივანიშევიჩს.

**ტალინელმა** ანდერს ვისანდმა ნიგერიის დედაქალაქ ლაგოსში მიმდინარე ტურნირის სასტარტო მატჩში სძლია ამერიკელ ბრეტ დიკინსონს — 6:3 6:3.

**15 წელია** კორტზე ხვდებიან ერთმანეთს თანამედროვე ჩოგბურთის ორი აღიარებული ლიდერი კრის ევერტი და მარტინა ნავრატილოვა (ორივე — აშშ). ამას წინათ მემფისში მათ საჩვენებელი შეხვედრა გამართეს, რომელიც ევერტმა მოიგო 6:1, 6:4.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## გილოცავთ, კოლეგა!

**ეს** სამიოდე დღეა, ჩვენი კოლეგა, ფოტოჟურნალისტი ალექსანდრე კოტორაშვილის სპეციალისტებისა და ჟურნალისტების ყურადღების ცენტრშია — წინა კვირის ბოლოს ჟურნალისტის სახლში გაიხსნა მისი პერსონალური ფოტოგამოფენა, გუშინ კი შევიტყვეთ, რომ გაზეთ „კომუნისტის" 1988 წლის ფოტოკონკურსში პირველი პრემია მიენიჭა მის ნამუშევარს „შეტევა".

ჩვენი, და არა მარტო ჩვენი გაზეთის მკითხველებს ა. კოტორაშვილის წარდგენა არ სჭირდებათ — რა ხანია, იგი ნაყოფიერად მოღვაწეობს სპორტულ ფოტოჟურნალისტიკაში, მონაწილეობს რესპუბლიკურ, საკავშირო თუ საერთაშორისო კონკურსებსა და გამოფენებში და ხშირადაც აღწევს წარმატებას. „კომუნისტის" ფოტოკონკურსში გამარჯვება მისი ოსტატობის კიდევ ერთი აღიარებაა.

## ფავორიტები ფინალის გზაზე

**ბოლოს** და ბოლოს ისინი ორნი დარჩნენ, კიეველი ალექსანდრე კირიჩენკო და მოსკოველი კონსტანტინე ხრაბცოვი. ორიოდე წლის წინ ხრაბცოვს 1000 მეტრზე საველოსიპედო გიტში არ ჰყავდა ბადალი. მერე მოულოდნელად მისი მჯობნიც გამოჩნდა, თან განა მარტო მისი. ალექსანდრე კირიჩენკომ სეულში ოქროს მედალი მოიპოვა და ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. შინ დაბრუნებული კი რეკორდებს „დაერია" და ერთი მეორეზე დაამხო.

ამ დღეებში მოსკოვში კრილატსკის ოლიმპიურ ტრეკზე მეტოქეები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს კილომეტრიან დისტანციაზე და გამარჯვება ამჯერადაც 21 წლის კიეველ სტუდენტს დარჩა — 1.03,873. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ვერცხლის მედალი კი ხრაბცოვს გადაეცა — 1.04,759. სპეციალისტების აზრით შედეგი უკეთესიც შეიძლება ყოფილიყო, მაგრამ მოულოდნელი ყინვების შემდეგ მოსკოვის ტრეკი სათანადოდ გამთბარი არ აღმოჩნდა და ამან ველოსიპედისტთა შედეგზე გავლენა იქონია.

თბილისელი ვლადიმერ ადამაშვილი ეს ორი წელია რაც ჯიუტად ავიწროებს ლიდერებს. ადამაშვილი თავისი მონაცემებით სპრინტერია, მოკლე მანძილების სპეციალისტი. იგი სპრინტშიც საკმაო წარმატებით გამოდის და მოკლე გიტებშიც. აი ახლაც, საკავშირო ჩემპიონატში მან მეორე შედეგი აჩვენა 200 მეტრიან დისტანციაზე (სვლით) და ვერცხლის მედალი დაისაკუთრა — 10,359. ჩემპიონი კი მოსკოველი ნიკოლოზ კოვში გახდა (10,325).

ადამაშვილმა სპრინტერთა შეჯიბრებაშიც მიიღო მონაწილეობა. ერთ-ერთ სერიაში მისი მეტოქე იყო ოლიმპიური ჩემპიონი 1000 მეტრზე გიტში ალექსანდრე კირიჩენკო, ქართველმა ველოსიპედისტმა უფრო აზრიანად წარმართა რბოლა და დაამარცხა მეტოქე. მერე დამაჯერებლად გაიკაფა გზა უძლიერესთა ოთხეულში და... ამ ეტაპზე შეწყვიტა ბრძოლა, ფინალში კოვში და ოდესელი ა. შჩელინსკი გავიდნენ.

კი მაგრამ სად იყო ამ დროს თბილისელი ოთარ მჭედლიშვილი, იკითხავს ალბათ მკითხველი, რომელმაც ორიოდე დღის წინ აეროფლოტის პრიზისათვის ბრძოლაში პირველობა დაუთმო მხოლოდ თავის მთავარ მეტოქეს ნ. კოვშს და ვერცხლის მედალს დასჯერდა? სად იყო და მონაწილეობდა სპრინტერთა ტურნირში, მაგრამ მერვედფინალში ნ. კოვშთან და ტულელ ი. ნესტეროვთან ბრძოლაში დამარცხდა და დაკარგა უკეთეს ადგილზე გასვლის შანსი. მჭედლიშვილის ეს წარუმატებლობა სპეციალისტებმა ჩემპიონატის მთავარ სენსაციად მიიჩნიეს.

## ბოლო ტური გადაწყვეტს

**თბილისის** ჭადრაკის სასახლეში მიმდინარე ახალგაზრდა ოსტატ მოჭადრაკე ვაჟთა საკავშირო პირველობის პრიზიორებს ბოლო ტური გაარკვევს. ამის შესაძლებლობა ერთდროულად რამდენიმე მოჭადრაკეს აქვს.

XIV ტურში ეფექტური გამარჯვება მოიპოვა ტალინელმა საერთაშორისო ოსტატმა ლემბიტ ოლმა, რომელმაც სვერდლოვსკელი ოსტატი მიხეილ ულიბინი დაამარცხა. პარტიაში, სადაც ფრანგული დაცვა გათამაშდა, ოლმა ორი ფიგურა შესწირა მეტოქეს და მეფის ფრთაზე ძლიერი შეტევა განახორციელა. ულიბინი შეეცადა მდგომარეობის გამოსწორებას, მან ლაზიერიც დათმო, მაგრამ პარტიის გადარჩენა ვეღარ შეძლო.

ყაიმით დამთავრდა აკოფიან-როზენტალისის, დაუტოვ-ტიმოშენკოს, გიორგაძე-შაბალოვის, ნევეროვ-სავჩენკოს, შიროვ-რუბანისა და ეპიშინ-ანასტასიანის შეხვედრები. გადაიდო სერპერ-დრეევის პარტია.

ბოლო, XV ტურის წინ ლიდერთა ჯგუფში კვლავ დაძაბული მდგომარეობაა. 9-9 ქულითა და თითო-თითო გადადებული პარტიით შეჯიბრებას სათავეში უდგანან ვალერი ნევეროვი (კიევი) და რუსტემ დაუტოვი (მინსკი).

**თამარ ხუჯაშვილი,**
**საერთაშორისო ოსტატი.**

## წინ თბილისელები მიიწევენ

**ბორჯში,** მოჭადრაკე ქალთა 45-ე რესპუბლიკური ჩემპიონატის ნახევარფინალური ტურნირის დამთავრებამდე ერთი ტური რჩება. 12 ქულით ლიდერობს იამზე თვაური, რომელსაც თითო ქულით ჩამორჩებიან გიული ალიხანაშვილი და ლელა თანდაშვილი (სამივე — თბილისი, სამივე — ოსტატობის კანდიდატი).

## დაუმარცხებლად

**წყალტუბოში** დასასრულს უახლოვდება მოჭადრაკე ქალთა 45-ე რესპუბლიკური ჩემპიონატის ნახევარფინალური ტურნირი. შეჯიბრების დამთავრებამდე ოთხი ტურით ადრე ტურნირს ორი ლიდერი ჰყავს — ქუთაისელი ოსტატობის კანდიდატი ეკატერინე ფახიროვა და წულუკიძელი ოსტატობის კანდიდატი ინგა ხურცილავა, რომლებმაც 11 ტურის შემდეგ 10-10 ქულა მოაგროვეს (სხვათა შორის, ფახიროვა ჯერჯერობით დაუმარცხებლად მიიწევს წინ). ქუთაისელ ოსტატობის კანდიდატს ივეტა კურცხალიას 9,5 ქულა აქვს.

ავადმყოფობის გამო შეჯიბრებას გამოეთიშა ცხაკაიელი პირველთანრიგოსანი ეკატერინე გიორგაძე.

## „სანატორიული ჰოკეი"

ცნობილი შვედი ჰოკეისტი თომას გრადინი, რომელიც ათი წლის განმავლობაში კანადის პროფესიული კლუბების ღირსებას (უმთავრესად „ვანკუვერის" და „ბოსტონის") იცავდა, ბოლოს და ბოლოს სამშობლოში დაბრუნდა. შვეციის ჰოკეის ასოციაციამ მას თავისი მდიდარი გამოცდილებისა და შთაბეჭდილებების გაზიარება სთხოვა.

გრადინმა მაღალი შეფასება მისცა პროფესიულ ჰოკეის და აღნიშნა, რომ ეს თამაში საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს ჩრდილოეთ ამერიკაში. თავის თანამემამულეებს ურჩია, მეტი აზარტით და თავგანწირვით უნდა წარმართოთო შეტევაც. მან ამავე დროს მკაცრად გააკრიტიკა შვეციის გუნდების თამაშის მანერა და მას სანატორიული ჰოკეი უწოდა.

**რედაქტორი**
**თ. გაჩეჩილაძე.**

საქართველოს სპორტსახკომი, ტყვიის სროლის რესპუბლიკური ფედერაცია და „ლელოს" რედაქცია სამძიმარს უცხადებენ სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს ვახტანგ სალუქვაძეს დედის

**მარიამ აფრასიონის ასულ**
**დევდარიან-სალუქვაძის**

გარდაცვალების გამო.

საქართველოს სპორტსახკომი, ფარიკაობის რესპუბლიკური ფედერაცია და გაზეთ „ლელოს" რედაქცია სამძიმარს უცხადებენ სპორტის დამსახურებულ ოსტატს გურამ კოსტავას მამის

**გიორგი ანტონის ძე**
**კოსტავას**

გარდაცვალების გამო.

## ტელეტაიპი - მაუწყებელი

**ისტ-რუტერფორდი** (აშშ). აქ გამართულ მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაში რამდენიმე მაღალი შედეგი აღინიშნა (დახურული დარბაზებისთვის). ჯო დილმა ჭოკით ხტომაში 580 სმ დასძლია, ჯეიკ ჯეკობმა სიმაღლეზე ხტომაში 230 სმ, რუმინელმა დოინა მელინტემ კი 800 მეტრი 2.00,70-ში გაირბინა.

**შტუტგარტი.** ინგლისელმა ლინფორდ კრისტიმ აქ მიმდინარე მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაში სეზონის საუკეთესო შედეგი აჩვენა (დახურული დარბაზებისთვის) 60 და 200 მეტრზე რბენაში — შესაბამისად 6,52 და 20,65. შეგახსენებთ, რომ კრისტი სეულის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორია.

**ზინდელფინგენში.** ბირთვის კვრაში ევროპის რეკორდი (დახურული დარბაზებისთვის) დაამყარა ულფ ტიმერმანმა. 26 წლის ოლიმპიურმა ჩემპიონმა და მსოფლიოს რეკორდსმენმა გდრ-ის პირველობაზე იარაღი 22 მეტრსა და 55 სანტიმეტრზე გაგზავნა.

**ნიუ-იორკში** დამთავრდა ქალთა საერთაშორისო ტურნირი ევროპა—ამერიკა, რომელიც ძველი სამყაროს ჩოგბურთელებმა დიდი უპირატესობით მოიგეს — 10:1. ევროპის გუნდის ამ წარმატებაში გარკვეული წვლილი შეიტანეს საბჭოთა სპორტსმენებმა ნატალია ზვერევამ და ლარისა სავჩენკომ (3 ქულა). ოთხი დღის განმავლობაში შეჯიბრებას 25 ათასი კაცი დაესწრო. ყველაზე დიდი აუდიტორია, ტრადიციულად, შტეფი გრაფს ჰყავდა. მან ევროპის გუნდს ინდივიდუალურ შეხვედრებში ორი ქულა მისცა — **დაამარცხა ამერიკელები ზინა ჰარისონი** (6:2, 7:5) და პამ შრაივერი (6:2, 6:0). გამარჯვებული კოლექტივის ღირსებას იცავდა აგრეთვე ბულგარელი მანუელა მალეევა.

ინდექსი 66435. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით სტამბაში „კომუნისტი", ხოშარაულის ქ. 29. უე 07121